

ერთი შენიშვნა თანამშრომელთა თვითშეფასების კითხვართან დაკავშირებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ 2018 წლის აგვისტოში დადგენილი შრომითი ხელშეკრულების მიერ განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიერ შემუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის სახეობების ჩამონათვალის (დანართი 1) მიხედვით, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო აღნიშნული უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, მიერ შემუშავებულ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების ჩამონათვალს, სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, უპირატესობა ენიჭება იმ ნაშრომებს, რომლებიც ინდექსირებულია ან აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities), Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ (იხ. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თვითშეფასების კითხვარის გაერთიანებული მონაცემები*).

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ 2018 წლის აგვისტოს შემდეგ გამოქვეყნდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების დადგენის ამსახველი რამდენიმე საყურადღებო სტატია, კერძოდ, Elsevier-ის მიერ გამოცემულ *Journal of Informetrics*-ის 2018 წლის ნოემბრის ტომში დაბეჭდილია სტატია, რომელიც მიზნად ისახავს ძირითად აკადემიურ საძიებო მექანიზმებსა და ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზებს (Google Scholar, Web of Science, Scopus) შორის არსებული განსხვავებების სისტემატიზირებას, თითქმის ორნახევარი მილიონი ციტირებების საფუძველზე და რომელშიც წარმოჩენილია Google Scholar-ის შედარებითი უპირატესობა დანარჩენ ორ უმთავრეს საძიებო მექანიზმთან (Web of Science და Scopus) მიმართებაში.

სტატიის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ Google Scholar-ში მოცემულია ყველაზე მაღალი პროცენტი ციტირებებისა (93%-96%), ბევრად მეტი, ვიდრე იძებნება Scopus-ში (35%-77%) ან Web of Science-ში (27%-73%) და მოიცავს თითქმის ყველა იმ ციტირებას, რომელიც ასახულია Web of Science-სა (95%) და Scopus-ში (92%). გარდა ამისა, Google Scholar-ი შეიცავს დამატებითი ციტირებების დიდ რაოდენობას, რომელთა დაახლოებით ნახევარი არ არის მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალებიდან

მიღებული, არამედ სხვადასხვა წიგნებიდან, კონფერენციების მასალებიდან და კრებულებიდანაა (48%-65%) და ამასთანავე, საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა (19-38%), Web of Science-სა და განსაკუთრებით Scopus-ისგან განსხვავებით, არაინგლისურენოვანია. ავტორთა შემაჯამებელი დასკვნით, ყველა დარგების გათვალისწინებით შედგენილი Google Scholar-ში ასახული ციტირებები არსებითად წარმოადგენენ Web of Science-სა და Scopus-ის ერთობლივი მონაცემების გაფართოებულ ნაკრებს მნიშვნელოვანი დამატებითურთ¹.

უკვე, 2019 წელს Springer Netherlands-ის მიერ გამოცემულ *Scientometrics*-ში გამოქვეყნდა ნაშრომი, სადაც ხაზგასმით აღინიშნება, რომ 389 მილიონი მონაცემის შემცველი Google Scholar-ი, ამჟამად წარმოადგენს ყველაზე უფრო სრულყოფილ, ყოვლისმომცველ აკადემიურ საძიებო სისტემას და მისი მულტიდისციპლინარული მონაცემთა ბაზა აღემატება მისი კონკურენტების Web of Science-სა და Scopus-ის მოცულობას².

ჩვენთვის, ისტორიის მეცნიერებათა წარმომადგენელთათვის, განსაკუთრებით საყურადღებოა იმავე *Scientometrics*-ის სექტემბრის გამოცემაში გამოქვეყნებული სტატია, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელოვანი ნაწილი Google Scholar-ის მიერ დაფიქსირებულ და საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მიკუთვნებულ ფართოდ ციტირებული დოკუმენტებისა (8.6-28.2%) უხილავია, როგორც Web of Science-სათვის, ასევე Scopus-ისთვის, მაშინ როდესაც მედიცინისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხრივ ასეთ ნაშრომთა ხვედრითი წილი საგრძნობლად ნაკლებია. ავტორთა დასკვნის მიხედვით, Google Scholar-ის მონაცემთა ბაზაში მოქცეული ფართოდ ციტირებული დოკუმენტები სავსებით ერთმნიშვნელოვნად ავლენენ Web of Science-სა და Scopus-ის მიერ არსებულ მონაცემთა მომცველობის ნაკლებობას სამეცნიერო კვლევა-ძიების მთელ რიგ დარგებში³.

¹ A. Martín-Martín, E. Orduna-Malea, M. Thelwall, E. D. López-Cózar. Google Scholar, Web of Science, and Scopus: A systematic comparison of citations in 252 subject categories, *Journal of Informetrics*, vol. 12 (4), 2018, pp. 1160-1177. თავი რომ დავანებოთ მსგავსი თვალსაზრისისა და დასკვნების შემცველ ზოგიერთ, უფრო ადრეულ პუბლიკაციას.

² M. Gusenbauer. Google Scholar to overshadow them all? Comparing the sizes of 12 academic search engines and bibliographic databases, *Scientometrics*, vol. 118 (1), 2019, pp. 177-214.

³ A. Martín-Martín, E. Orduna-Malea, E. D. López-Cózar. Coverage of highly-cited documents in Google Scholar, Web of Science, and Scopus: a multidisciplinary comparison, *Scientometrics*, vol. 116 (3), 2018, pp. 2175-2188.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგების ბიბლიომეტრიული ინდიკატორების გამოთვლის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია Google Scholar-ის მონაცემთა ბაზის გამოყენება, ხოლო მაქსიმალურად სრული და ობიექტური სურათის მისაღებად სასურველია აკადემიური სამიზნე მექანიზმებისა და ბიბლიოგრაფიული მონაცემების სამივე უმთავრესი ბაზის (Google Scholar, Web of Science, Scopus) ერთობლივი გამოყენება, როგორც ეს არის ძირითადად მიღებული ბიბლიომეტრიულ ლიტერატურაში.

14.02.2019

გიორგი ქავთარაძე